499.962.1
ზ-998-

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ფხაკაძე

მეთუნეობის ტერმინოლოგია ქართულში

10.02.01 - ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

499.962 | 1 -2087
ფ-998 | ფხაკაძე ნ.
მეთუნეობის ტერმინოლოგია ქართულში.
-2087-

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ფხაკაძე

მეთუნეობის ტერმინოლოგია ქართულში

10.02.01 - ქართული ენა

-2087-

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

თბილისი
2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ავთანდილ არაბული**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.01)

ოფიციალური ოპონენტები: **1. გიორგი გოგოლაშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.01)

2. მანანა ჩაჩანიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი (10.02.01)

დისერტაციის დაცვა გაიმართება 2006 წლის 24 მაისს 13 საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული P.10.07.№7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №1. კორპ. I, აუდიტორია №93.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: 0143 თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 20 აპრილს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი — რამაზ ქურდაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. ტერმინი ცნების სიტყვიერი ხატია. ცნება კი მეცნიერული (პროფესიული) აზროვნების კატეგორიაა. აზრობრივი ველისა და მისი შესატყვისი თეორიული დისციპლინის ჩამოყალიბების წინაპირობა სათანადო სიტყვიერი სუბსტანციის – ტერმინოლოგიის – მოწესრიგებაა. ამიტომაც ამა თუ იმ ტერმინოლოგიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ხალხური ტერმინოლოგია სამეცნიერო ტერმინოლოგიის ბაზაა. მისი სრულყოფილი შესწავლისა და ანალიზის შემდეგ შესაძლებელი ხდება მეცნიერული თვალსაზრისის შესაბამისად მოხდეს სათანადო ტერმინოლოგიური ველის უნიფიცირება, სტანდარტიზაცია და მოწესრიგება.

ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგია ინტერესს იწვევს როგორც ენათმეცნიერული, ისე ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის სრულყოფილი შესწავლის თვალსაზრისით, რადგან სპეციალური ლექსიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და შეხედულებებთან. აქ ხშირად იჩენს თავს ისეთი მოვლენები, რომლებიც "დიდ კულტურულ-ისტორიულ ინტერესს აღძრავენ და რომელთაც თანამედროვეობისათვის აქტუალური მნიშვნელობა აქვთ" (არნ. ჩიქობავა).

ხალხური კერამიკა ქართველი ერის მდიდარი კულტურის განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად, უძველესი და უაღრესად საინტერესოა მასთან დაკავშირებული ლექსიკა. ეს უკანასკნელი განამტკიცებს ისტორიულ თვალსაზრისს და წარმოაჩენს ქართული ენის დიაქრონიულ სურათს, იძლევა უნიკალურ მასალას სათანადო სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის. მისი კვლევა ტერმინთმცოდნეობის აქტუალური ამოცანაა.

მეთუნეობის ტერმინთა სრულად აღმნუსხველი მეცნიერული ნაშრომი არ მოგვეპოვება. სადისერტაციო ნაშრომში პირველადაა წარმოდგენილი მეთუნეობის ტერმინოლოგიის სისტემური სურათი დიაქრონიულად, ენობრივ ქვესისტემათა მონაცემების გათვალისწინებით, პრაქტიკულად ყველა დარგობრივი ქვეჯგუფის მიხედვით, გამოვლენილია ტერმინთა